საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 0 22 00903423

06/04/2022

მოქალაქე ლაშა ახალაიას
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-460-196ac6ac@askgov.ge

ბატონო ლაშა,

2022 წლის №675868 წერილის პასუხად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არსებული აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს, 2016 - 2021 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240^1 მუხლით (,,ელექტრო- ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევა") გამოძიების დაწყების შესახებ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა :
- სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში, დანაშაულთან დაკავშირებით მონაცემების დამუშავება წარმოებს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების/ნაწილების/ქვეპუნქტების და არა დანაშაულის გარემოებათა მიხედვით. შესაბამისად, გამოგზავნილი სტატისტიკური მონაცემები მოიცავს სრულ ინფორმაციას მითითებული მუხლების/ნაწილების/ქვეპუნქტების მიხედვით კვალიფიცირებულ დანაშაულთან დაკავშირებით.

- 2019-2020 წლების გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკური მონაცემები მუშავდება საპილოტე რეჟიმში, ვინაიდან 2019 წლის ბოლოდან ნაწილობრივი ფუნქციონირება დაიწყო სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის (Crimcase-2) ახალმა ვერსიამ, რომლის საგამოძიებო უწყებებში გეგმიური დანერგვა, სათანადო გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობდა ეტაპობრივად. აქედან გამომდინარე, გამოძიების დაწყების კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად ერთიანი კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშგების რეპორტის გენერირების მიზნით, ინფორმაციის დამუშავება ამ პერიოდებზე

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ხორციელდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი განსხვავებული ვერსიის (Crimcase-1 და Crimcase-2) სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე
თათია ცეცხლაძე